„ღმერთო,
სამშობლო
მიცოცხლე,
მძინარეც
ამას ვდუდუნებ!“

კავკასია
kavkasia

ეროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №5-6 (81-82) ნოემბერი-დეკემბერი 2015 წელი ფასი 1 ლარი

ტიმოთესუბანი – 800

გვ. 7

მეგის ძარღავას შურისძიება?!

გვ. 2

ლადო ათანელი _ ოცდახუთი წელი მსოფლიო საოპერო სცენაზე

გვ. 3

მიხეილ ჭინჭარაული

ბებერ შატილიონს

დაღბერდი შატილიონო,
აღარ მოსწონხარ ქალებსა,
ხელებმ დაგიწყეს კანკალი,
დაგიუჩინდა თვალებსა.
ქარაფში ვეღარ გაივლი,
ვეღარსად ღნახავ „ხარებსა“,
ქუჩს ძოვენ თავისუფლადა,
ჯიხვებმაც გაიხარესა.
არილად ხედავ ანატორ
ამასულს ბადრსა მთვარესა,
არ ალაღებდი დუშმანსა,
ბევრას აჭმევდი მწარესა.
ლომს გემუქრება სიბერე,
ფრანგული ხმალი გალესა.
სიკვდილიც გიახლოვდება,
მალე ჩაგაცვამს შავებსა.
ქისტებიც დალაღდებიან,
წინავ რო შჭამდი თავებსა...
რა დაგრჩა გულდასაწყვეტი,
გავლილ ცხოვრების გზაზედა.
დაიწყე ბოლოჩიითა
შამახედ მაღლა მთაზედა.
არ დაგცდენია წრიაპი,
ყინულში, ჭირხლიანზედა,
დრო არსად გაგიფლანგია
ღვინო–არაყის სმაზედა,
შენის მეობით ამაყი
თამამად იჯექ ჯარზედა.
გეხურა შეურცხვენელი
ვაჟკაცის ქუდი თავზედა.
უკან არასდროს დამდგარხარ,
მუდამ წინ იდექ სხვაზედა.
გიცნობდეს შემოსეულნი
მდევარში თოფის ხმაზედა.

გიორგი წიკლაური

სოფლის დილა

ყრია ხევებში ლევა ნისლები...
ჩამოიფარეს მთებმა პირბადე,
ვხედავ ამინდი უფრო იცვლება
და მე არ ვიცი რად დავიბადე.
შორი ბავშვობის
ვფურცლავ რვეულებს
გულში ათასი ცეცხლი მინთია,
სადღაც ჭალაზე მღერის მეურმე
და ცხვარ მეცხვარე მთისკენ მიდიან.
ქარი აშარი კართან ატირდა,
გულდაკოდილი სისხლად ვიცლები,
მე ვდგავარ უხმოდ
ღელის ნაპირთან; —
ყრია ხევებში ლევა ნისლები.

პირველი „ცოტნეობა“ ასპინძაში

კოხტას ციხე

იდგა 1245 წელი... უმეფობის ხანამ დაისადგურა საქართველოში... მონღოლთა ბატონობით ილაჯგაწყვეტილმა პატრიოტ თავადაზნაურთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა მათ წინააღმდეგ აჯანყება მოეწყოთ და სამცხეში, სოფელ დამალასთან, უღრანი ტყით დაფარულ ხეობაში, ამაყად წამომართულ კოხტას ციხეზე, საიდუმლო შეხვედრა და შეთქმულება გადაწყვიტეს.

თუმცა, რა გამოლევს ორგულსა და ქვეყნის გამყიდველ ადამიანებს, ათადან ბაბამდე მოგვდგამს შური, მტრობა, გაუტანლობა და ღალატი ქართველებს, რის გამოც უკიდეგანო სივრცეზე, ოდესღაც ორ ზღვას შუა გადაჭიმული დიდი საქართველო „შაგრენის ტყავივით“ დაპატარავდა და ორგულთა სანავარდოდ იქცა.

თუმცა, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“ და საქართველოში, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანებსაც რა გამოლევს, რომელთათვის სიცოცხლეზე უტკბესი საკუთარი ქვეყნის ბედნიერება, სიყვარული და მომავალია. საუკუნეების მანძილზე მათმა გმირობებმა გადაგვირჩინეს საქართველო, ჩვენი მიწა-წყალი...

ალბათ, ადამიანები გმირობას ვერ ჩაიდენენ, თუ საგმირო საქმის გარემო-პირობები არ შეიქმნა, თუმცა, გმირობის ჩადენაც განსაკუთრებით იმ ადამიანთა ხვედრია, ვისაც სულით ხორცამდე, სამშობლოპს ერთგულება და სიყვარული, პატრიოტული გრძნობები ამოძრავებთ.

ბევრი, ძალიან ბევრი გმირი გაუზრდია საქართველოს, რომელთა სახელები დიდების შარავანდედითაა მოსილი და მათ არასდროს უწერია დავიწყება... ქუჯის, ცოტნე დადიანის, ივანე და შალვა ახალციხელების, ბერი თევდორეს, დემეტრე თავდადებულის და სხვათა და სხვათა, მამულისათვის შეწირულთა თავდადებით მოაღწია აქამდე ქართველობამ, მათმა თავგანწირვამ იხსნა ქვეყანა გადაშენებისა და განადგურებისაგან. სწორედ ამიტომ ხელთუქმნელი ძეგლები უნდა ავუგოთ მათ ხსოვნას, მარადიული სანთლები დავუნთოთ, მათი პატრიოტული სულისკვეთების მაგალითებზე აღვზარდოთ ჩვენი მომავალი თაობები, რამეთუ, სწორედ მაგალითის ძალაა, რომელიც პატრიოტებად ზრდიან ახალგაზრდობას, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ისე გვაკლია და ისე გამოწურეს ჩვენგან არაკეთილსაიმედო ძალებმა, რომ სწორედ ისევ მამათ და უფროს თაობას მართებს უდიდესი ძალისხმევა, მომავალ თაობას დავუბრუნოთ ქვეყნის სიყვარული, ნამდვილი პატრიოტიზმი და სხვისი სახელის შემყურედ და მონა-მორჩილებად არ ვაქციოთ ისინი. მოჩვენებითმა პატრიოტიზმმა რაც მოგვიტანა, ყველამ კარგად ვნახეთ. სწორედ ესაა ჩვენი უბედურების სათავე. ვიდრე მთლად კიდევ არ არის გვიან, უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს — ვისი გორისანი არიან, რომ ქვეყნის სიყვარული, თავისით არ მოდის, როგორც ანაბანას, ისე უნდა ვასწავლიდეთ და შესაბამის გარემო-პირობებსაც ვუქმნიდეთ.

ადრე ასე იყო, გუშინ უგულვებელყავით და, მადლობა ღმერთს, სიკეთისკენ სავალი გზა ისევ გამოჩნდა...

12 აგვისტო... მარად დაუვიწყარი დღე — დიდგორობა; 12 აგვისტო — მარად დაუვიწყარი დღე — ცოტნე დადიანის ხსენების დღე.

ეს იყო განუმეორებელი გმირობა და, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ქვეყნის მომავალი, რომ არა ცოტნე დადიანის ესოდენ უდიდესი თავგანწირვა საკუთარი სისხლისა და ხორცის, საერთოდ, ქვეყნის მიმართ. ეს იყო მისაბაძი გმირობა, რომლის სულისკვეთებაზე იზრდებოდნენ ქართველთა თაობები. დიდი ლადოს სიტყვებით რომ ვთქვათ:

„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს“...

ამა წლის 12 აგვისტოს, კოხტასთავის შეთქმულების ლეგენდარული გმირის, ცოტნე დადიანის ხსენების დღეს, შეთქმულების 830-ე წლისთავზე, პირველად ასპინძის სინამდვილეში, მისი მადლიერი შთამომავლები — რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები —გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, გუბერნიის პასუხისმგებელი

გაგრძელება მე-2 გვერდზე

კაწალხევს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ენერგეტიკის მინისტრმა **კახა კალაძემ**, მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორმა **ნუგზარ ყიფიანმა** და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ვაჟა ჩოხელმა**, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კაწალხევში ახლადაშენებული ელექტროგამანაწილებელი ქსელი დაათვალიერეს.

სოფელ კაწალხევში მცხოვრები 21 ოჯახი, რომლებსაც 20 წელზე მეტია ელექტროენერგია არ მიეწოდებათ, ელექტროენერგიას უკვე მოიხმარს.

სოფელი კალწახევის ელექტროფიცირებისთვის აშენდა 4 კმ სიგრძის 10 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი, დამონტაჟდა 1 ერთეული 63 კვა სატრნსფორმატორო ქვესადგური, აშენდა 3,67 კმ სიგრძის გამანაწილებელი ქსელი და განხორციელდა ინდივიდუალური გამრიცხველიანება. საპროექტო სამუშაოები შპს „ჰიდრომ“, ხოლო სამშენებლო სამუშაოები შპს „რედკომ“ შეასრულა. განხორციელებულ სამუშაოებზე 157 ათასი ლარი დაიხარჯა.

ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2013 წლიდან, საქართველოს მასშტაბით, დეტალურად იქნა შესწავლილი უშუქო სოფლებში არსებული მდგომარეობა და დაიწყო უშუქო სოფლების ელექტროფიკაციის პროცესი. საქართველოს მასშტაბით 28 უშუქო სოფლიდან, ამ დროისათვის ელექტროენერგია უკვე მიეწოდება 22 სოფელს. წლის ბოლომდე კიდევ 6 სოფლის მოსახლეობა მიიღებს ელექტროენერგიას. ესენია: მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ლელუბანი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი შროშა (ექსეულიძეების უბანი) და ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლები: ხაჩიში, მანანაური, ცხუმალდი და ბავარი.

„სინათლე ყველა სოფელს“ პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მლნ 702 ათასი, ხოლო 2014 წლის ბიუჯეტიდან 6 მლნ 500 ათასი ლარი გამოყო.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დასრულებულია ასევე 4 სოფლის ელექტროფიკაცია. სამუშაოებზე 400 ათასი დოლარი დაიხარჯა. ეს სოფლებია: დმანისის მუნიციპალიტეტი – სოფელი მამიშლარი, ქარელის მუნიციპალიტეტი – სოფელი იმერხევი, ახმეტის მუნიციპალიტეტი – სოფელი ჭართალა, დუშეთის მუნიციპალიტეტი – სოფელი შატილი.

სოფელ კაწალხევის ელექტროფიცირებისათვის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, მაღაროს კარის მაჟორიტარ დეპუტატ სალომე კაკაბლიშვილს. იგი წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის.

მეგის ქარდავას შურისძიება?!

17 ოქტომბერს უკრაინულმა ვებგვერდმა yotube.ua–მ სათაურით „როგორ აწამებენ რეფორმატორები ადამიანებს ჩვენების მიღების მიზნით,“ სამეგრელოში აღმოჩენილი წამების ამსახველი ვიდეომასალა გამოაქვეყნა. გამოქვეყნებულ ვიდეოში ასახულია მამაკაცზე სექსუალური ძალადობის ფაქტები, რის შედეგად დაკავებული გამომძიებელს „აღიარებით“ ჩვენებას აძლევს. ვებგვერდს არა აქვს მითითებული წყარო, რომელმაც ვიდეომასალა მიაწოდა. უკრაინულ საიტზე თითქმის 5-წუთიანი მასალა ქართულ ვებგვერდებზეც სწრაფად გავრცელდა და საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. საზოგადოების წარმომადგენლები სვამენ კითხვას: როგორ აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სამეგრელოში აღმოჩენილი ვიდეომასალა უკრაინულ ვებგვერდზე. „კვირის პალიტრა“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, ირაკლი სესიაშვილს დაუკავშირდა:



– მოგეხსენებათ, შს სამინისტრომ სამეგრელოს სამართალდამცავებიდან ორი ტიპის, საზოგადოებისთვის ცნობილი პირების პირადი ცხოვრების ფარული ჩანაწერები და წამების ფაქტების ამსახველი კადრები ამოიღო. მაშინ პროცესში ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი **ჰამერბერგიც** აქტიურად მონაწილეობდა და რეკომენტაციებსაც მისგან ვიღებდით. სწორედ ჰამერბერგმა გვირჩია, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გაგვენადგურებინა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ჩანაწერები კი შეგვენახა, რადგან ისინი საქმეში მტკიცებულებას წარმოადგენდა.

ყველა პირი, ვინც გავრცელებულ ვიდეოფირში ფიგურირებს, სასჯელს იხდის.

– თუ ვიდეოჩანაწერები ჰამერბერგის რეკომენტაციის შეინახეთ, იმის ვალდებულებას აიღეთ, რომ ისინი შს სამინისტროს არქივს არ გასცდებოდა. როგორ აღმოჩნდა ვიდეომასალა უკრაინულ ვებგვერდზე?

– გავრცელებული ფირი დაზარალებულების ადვოკატებს გადაეცა, რადგან სამართლებრივად ჩანაწერები მათი საქმის ნაწილი და მტკიცებულება გახლდათ. ვერ გეტყვით, უკრაინულ საიტზე როგორ აღმოჩნდა, მაგრამ ფაქტია, რომ შს სამინისტროს გარდა, მასალა სხვებსაც ჰქონდათ. მათ გავრცელებაში ხელისუფლებისკენ ხელს ვერავინ გამოიშვერს, ეს ჩვენს ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ხანია იცის, რომ გაუპატიურება და მსგავსი მეთოდებით აღიარებითი ჩვენების მოპოვება წინა ხელისუფლების ხელწერა იყო.

მსგავსი სისტემური დანაშაულის წყალობით პოულობენ „ჯაშუშებსა“ და „ტერორისტებს“, მეტიც, ჯერ ადამიანზე ავრცელებენ ინფორმაციას და ტერორისტული აქტის სცენარს, ამის შემდეგ დგამდნენ. სასურველი ჩვენების მისაღებად კი მწამებლები და გამაუპატიურებლები ჰყავდათ დაქირავებული და „სამუშაოსთვის“ ფულს უხდიდნენ. 2012 წელს ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, დანაშაულებრივი სისტემა კიდევ უფრო დიდი მასშტაბით იმუშავებდა – ეს წინა ხელისუფლების იდეოლოგია და მართვის სტილი გახლდათ. პოლიტიკურ ოპონენტებსაც ანალოგიური მეთოდებით უსწორდებოდნენ.

რამდენიმე ჩემს კოლეგას გაუპატიურებით ღიად დაემუქრნენ. ზოგს მის თვალწინ მეუღლისა და შვილის გაუპატიურებით აშინებდნენ. ამის ამსახველი ჩანაწერებიც არსებობს.

ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** ფირის გავრცელებას **„ნაციონალურ მოძრაობასა“** და გუნდის ყოფილ წევრებს, **„მასტერასა“** (კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი გია დგებუაძე) და **მეგის ქარდავას უკავშირებს**. მისი განცხადებით, **ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ქვეყნიდან გატანილი ჩანაწერების ორიგინალები უკრაინაში სააკაშვილის ერთ-ერთ მთავარ ოპონენტს, უკრაინელ ოლიგარქ კოლომოისკის მიჰყიდეს.**

ვახტანგ მაისაია:

– საპარლამენტო არჩევნების მეორე დღესვე მეგის ქარდავამ და „მასტერამ“ ადამიანების წამებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების ორიგინალები ქვეყნიდან გაიტანეს. ორივე მათგანი სისტემური დანაშაულის ორგანიზატორი და შემსრულებელია და, ბუნებრივია, იმასაც ხვდებოდნენ, რომ ჩადენილი სისასტიკისა და დანაშაულის გამო ახალი ხელისუფლების პირობებში ციხეში მრავალი წლით ამოყოფდნენ თავს. როგორც ამბობენ, ბოლო პერიოდში ქვეყნიდან გაქცეული მეგის ქარდავა და „მასტერა“ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუპირისპირდნენ – იმის გამო, რომ პარტია მათ სათანადო ყურადღებას არ აქცევდა, შესაძლოა, ქარდავამ და „მასტერამ“ თანაგუნდელებზე შურიძიება გადაწყვიტეს. „მასტერა“ ჰოლანდიის ციხეში ზის და ქართული მხარე მის ექსტრადიციას ითხოვს, მეგის ქარდავა კი თავისუფლად დაიარება როგორც ვიცი.

რამდენიმე დღის წინ უკრაინელი ოლიგარქი **იგორ კოლომოისკი ევროპაში იმყოფებოდა, სადაც სწორედ ქარდავას და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს შეხვდა და სააკაშვილის საწინააღმდეგო კომპრომატები შეიძინა. კოლომოისკის უკრაინაში ტელევიზია და უამრავი საინფორმაციო სააგენტო აქვს. ასე რომ, რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ფირი მხოლოდ დასაწყისია – სააკაშვილს კიდევ არაერთ სიურპრიზს მოუწყობენ. ვფიქრობ, უკრაინელებიც მალე მიხვდებიან, სააკაშვილი და მისი ჯგუფი რეალურად რა ძალას წარმოადგენენ. სააკაშვილი უკრაინაში ისედაც რთულ ვითარებაშია – ცოტა ხნის წინ ის ადგილობრივ მოსახლეობას დაუპირისპირდა და მუშტის ქნევით დაემუქრა კიდეც. გავრცელებული ფირის გარეშეც კარგად ვიცი, რა ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, რადგან სისტემური დანაშაული პირადად მეც შემეხო.**

საკუთარი თვალით ვნახე, როგორ დაბეს ციხეში ადამიანი და მას ძაღლივით ყეფას აიძულებდნენ.

ამ ფაქტს ჩემ გარდა უამრავი ადამიანი დაადასტურებს, თუმცა ეს მხოლოდ მსუბუქი მაგალითია იმისა, რაც წლების განმავლობაში ციხეებში რეალურად ხდებოდა.

უკრაინულ საიტზე ჩანაწერის გავრცელების ფაქტზე შს სამინისტრომ გამოძიება დაიწყო. როგორც უწყებაში აცხადებენ, გამოძიება სსკ-ს 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

რუსუდან ფელია

პირველი „ცოტნეობა“ ასპინძაში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲭᲓᲘᲡᲐ

მუშაკები, ასპინძელები, დამალელები და საერთოდ, ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია ცოტნე დადიანის სახელი, შეიკრიბნენ კოხტასთავს და ღირსეული პატივი მიაგეს მის ნათელ ხსოვნას.

– „ცოტნეობა“! – ასე ჩაიწერა ეს დღე იმ ღონისძიებათა ნუსხაში, რომელიც, ამიერიდან, ყოველწლიურად აღინიშნება და ტრადიციული გახდება.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ მეტად ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო. ეს დიდი საქმეა და, იმედია, იგი უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს და, უპირველესად, მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთების აღზრდის სამსახურში ჩადგება.

ღონისძიების რეჟისურა განახორციელა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, რეჟისორმა ლია სულაშვილმა. კოხტასთავის გამოსახედიდან, საქართველოსათვის თავდადებულთა, საუკუნეთა შემდეგ, დეკლამატორთა მიერ, საიდუმლო სერობის – შეთქმულთა ხმამაღლა ამეტყველებული, გულში ჩამწვდომი, პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი სიტყვა-ბგერები იფრქვეოდა ირგვლივ და საშობლოს გადარჩენის იმედის მომცემად ცოცხლდებოდნენ საუკუნეთა გადმოსახედიდან.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა **მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან ცაბაძე.** აი რა განაცხადა ჩვენთან საუბარში პირველი „ცოტნეობის“ ორგანიზატორმა:

„ცოტნეობის იდეა წამოვიდა ასპინძელი ახალგაზრდებისაგან. ეს იდეა არ მოიცავდა მარტო კოხტასთავის შეთქმულებას 830 წლისთავის – „ცოტნეობის“ აღნიშვნას. ჩვენი მიზანია ქვეყნის მასშტაბით წარმოვაჩინოთ ყველა ის მნიშვნელოვანი სიტორიული ძეგლი, რომელთა სახელებთანაცაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი, მესხეთი და, განსაკუთრებით ასპინძა, რომელიც უმდიდრესია ისტორიული ძეგლებით. ეს იდეა მოგვეწონა და, პირველი, რითაც დავიწყეთ ის იყო, რომ იგი დავამთხვიეთ კოხტასთავის შეთქმულების საიუბილეო თარიღს, – რაჭის ერისთავთან ერთად, უმეფობის ხანაში, დასავლეთ საქართველოს გამგებლად დანიშნული ცოტნე დადიანის დიდ გმირობასთან რომ არის დაკავშირებული და დედაეკლესიის მიერ მისი წმინდანად შერაცხვის დღე დავუდეთ საფუძვლად ამ ღონისძიებას, რომელიც დღეს ჩვენ ვიხილეთ. იმისათვის, რომ ეს ღონისძიება პირველია, მცირე მასშტაბით დავიწყეთ, შემდეგში, ნელ-ნელა გავაუმჯობესებთ და მივცემთ „შოთაობის“ მასშტაბებს, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს როგორც ამ ისტორიული ძეგლის პოპულარიზაციას, დამთვალიერებელთა მოზიდვას, ასევე, ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის დიდ საშვილიშვილო საქმეს. გადაწყვეტილი გვაქვს მივაღწიოთ კოხტას ციხის რესტავრაციას და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, თავდაპირველად კი ძეგლის დაცვა-გამაგრებაა საჭირო.

რომ არა ცოტნე დადიანის გმირობა, ცხადია, ეს ძეგლი არ იქნებოდა ცნობილი და სწორედ ცოტნე დადიანის გმირობამ გაუთქვა სახელი კოხტას ციხესაც“.

გვჯერა, კარგ დასაწყისს მომავალიც კარგი ექნება და მუნიციპალიტეტის გამგეობა სიტყვას შეასრულებს – შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებს კოხტასთავის პოპულარიზაციისა და „ცოტნეობის“, როგორც სახალხო დღესასწაულის, ტრადიციად დამკვიდრებისათვის.

ავთანდილ ბერიძე

ლადო ათანელი _ ოცდახუთი წელი მსოფლიო საოპერო სცენაზე

ცოტა ხნის წინ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში მსოფლიო ბარიტონის – ლადო ათანელის საიუბილეო კონცერტი გაიმართა. ოცდახუთი წელია ლადოს მომაჯადოებელი ხმა ისმის ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის, ბერლინის, ვენის, მილანის, ციურიხის, ჟენევის, მიუნხენის, ვაშინგტონის, ტოკიოს საოპერო სცენებზე. იგი გვევლინება ვერდის, პუჩინის, ჯორდანოს, ლეონკავალოს, მასკანის, მატნეს ოპერების საუკეთესო შემსრულებლად. მის რეპერტუარში ორმოცამდე საოპერო პერსონაჟია.

საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდა თბილისის სიმფონიური ორკესტრი და საქართველოს სახელმწიფო კაპელა. ლადო ათანელს პარტნიორობას უწევდნენ **იანო, თამარ ალიბეგაშვილი** და **ირაკლი კახიძე**.

კონცერტი გახსნა ორკესტის დირიჟორმა **ვახტანგ კახიძემ.** მან მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს, რომელიც მეუღლესთან ერთად ესწრებოდა ლადო ათანელის გალა-კონცერტს, იმისთვის რომ ჯანსუღ კახიძის ცენტრის რესტავრაცია ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთდა და ამ ცენტრში სრული აწლაგით იმართება საფორტეპიანო მუსიკის და სხვა ჟანრის კონცერტები, რომელშიც **ჯანსუღ კახიძის** სული ტრიალებს.

ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, რომელსაც კომენტარი ვთხოვე. ბატონმა ირაკლიმ, დიდი სიამაყით აღნიშნა პლანეტის ერთ-ერთი ჰეროიკული, მეტად ლამაზი, ხავერდოვანი ხმის პატრონი ლადო ათანელის მოღვაწეობა, რომელიც დედოფლისწყაროში დაიბადა და აღიზარდა, იგი დედოფლისწყაროს წარმატებული მოქალაქეა, რომელსაც პირადად გადავეცი სპეციალური სიგელი. ლადოს ძალიან ეამაყება, რომ კახეთის მიწა-წყლის შვილია, გვეამაყება ჩვენც მსოფლიოს ბარიტონი რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან არის. ლადო ათანელი ყოველთვის გვეპატიჟება დედოფლისწყაროელებს თავის კონცერტებზე, რომელსაც თბილისში მართავს.

უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭა იმ დღევანდელმა კონცერტმა, დიდი მადლობა ვატო კახიძეს, სიმფონიურ ორკესტრს, საქართველოს სახელმწიფო კაპელას.

ლადო ათანელის დებიუტი შედგა თბილისის ოპერის სცენაზე **იანო ალიბეგაშვილთან ჯუზეპე ვერდის „ბალმასკარადში“**. საღამოს დასრულების შემდეგ მივულოცე წარმატებული გამოსვლა და ვუთხარი მალე თქვენ მსოფლიოს პრესტიჟულ თეატრის სცენებს დაიპყრობთმეთქი...

ასეც მოხდა.

კონცერტის მხატვრული ხელმძღვანელი გახლდათ **მანანა ჩიქოვანი-ათანელი**, პროდიუსერი – **ციცო ჯაფარიძე**, დიზაინერი – **კახა ბახტაძე**. საიუბილეო კონცერტზე შესრულდა ბიზეს, ვერდის, მასკანის, ჯორდანოს, პუჩინის, ფალიაშვილის, პონკიელის, ფალვოს და ლაღიძის ნაწარმოებები. თითოეულ არიას ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა მსმენელი.

ღონისძიებაზე უჩვენეს ვიდეოკოლაჟი ლადო ათანელი – მსოფლიოს საოპერო სცენებზე.

დამსწრე საზოგადოებას თბილი სიტყვებით მიმართა ლადო ათანელმა, მან მადლობა გადაუხადა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პატრიარქს და ყველას, ვინც მობრძანდა მის საიუბილეო კონცერტზე.

ბედნიერია ერი, ვისაც ჰყავს ლადო ათანელი, იანო ალიბეგაშვილი, ირაკლი კახიძე, ვახტანგ კახიძე და ყველა მომღერალი, ვინც მოღვაწეობს უცხოეთში, თბილისის ოპერის სცენაზე და უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს და კიდევ უფრო ამაღლებს დედა საქართველოს.

ნანა ჯიჯინაძე

ანაიდა გესტავაშვილი – 80

ქართული კულტურის ბოსტანი

ქალბატონი ანაიდა ბესტავაშვილის სახით ქართულ მწერლობასა და კულტურას დიდი მოამაგე ჰყავს მოსკოვში. იგი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, წლების განმავლობაში მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული კათედრის ხელმძღვანელი და ქართველი კლასიკური პროზის ბრწყინვალე მთარგმნელი და პროპაგანდისტი გახლავთ. ამ დღეებში მას 80 წელი შეუსრულდა. მისი მოღვაწეობის განმავლობაში ჩვენმა მეგობარმა და მშვენიერმა ქალბატონმა საოცრად ბევრი რამ შეძლო. თავად განსაჯეთ: 1968 წელს მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ნიკოლოზ ბარათაშვილი რუსულ ენაზე“. 1968-91 წლებში ლიტერატურის ინსტიტუტში ასწავლიდა ქართულ ენას და ლიტერატურას. კითხულობდა ლექციებს მხატვრული თარგმანის თეორიებზე. ქართული პროზისა და პოეზიის თარგმანებზე ატარებდა სემინარულ მუშაობას. ყოველწლიურად სტუდენტებთან ერთად საქართველოს კუთხეებში მოსახლეობასთან საინტერესო შეხვედრებით აწყობდა ეთნოექსკურსიებს. მის სტუდენტებსა და ასპირანტებს შორის იყვნენ ყოფილი სსრკ-ს თითქმის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელი, აგრეთვე ახალგაზრდა უცხოელი ლიტერატორები. ისინი სწავლობდნენ ქართულ ენას და დღემდე თარგმნიან ქართულიდან თავიანთ მშობლიურ ენებზე.

ქალბატონი ანაიდა მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, ლექციებს კითხულობდა ინგლისში, იტალიაში, ჰოლანდიაში, აშშ-სა და ისრაელში... 1983 წელს მიიღო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ქალბატონი ანაიდა 1968 წელს გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ჟურნალ-გაზეთებში: „მნათობი“, „ცისკარი“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურნაია გრუზია“ და სხვა. მის მიერ თარგმნილ ავტორთა შორის არიან: **დემნა შენგელაია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ციციშვილი, ედიშერ ყიფიანი, გურამ ასათიანი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, არჩილ სულაკაური, რეზო ჭეიშვილი, აკაკი ვასაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ გეგეშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია და სხვა მრავალი**. 1964 წელს იგი მიწვეული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ბწკარედული თარგმანისა და კომენტარების კომისიის წევრად. 1968 წელს მუშაობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემის ბწკარედულ თარგმანებზე. 1979 წელს თარგმნა „ქართული ხალხური ნოველა“, „ქართული ხალხური იუმორი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, რაც გამოიცა თბილისსა და მოსკოვში. აკადემიკოს ალექსანდრე გვახარიას რედაქციით ქალბატონმა ანაიდამ ორჯერ გამოსცა შუა საუკუნოვანი ეპოსი „რუსუდანიანი“ (თბილისსა და მოსკოვში). მისი რუსული თარგმანით გამოიცა ქართული ლიტერატურა ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ათობით ქვეყანაში. იგი იყო რედაქტორი და შემდგენელი **ოთარ ჭილაძის, ანა კალანდაძის, რევაზ მარგიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, აგრეთვე რუსი პოეტების: იან გოლცმანის, ვლადიმერ ლეონოვიჩის, იური რიაშენცევის, ნატალია სოკოლოვსკაიას, ლარისა ფომენკოს** და სხვათა პოეტური კრებულებისა. 40 წლის განმავლობაში მან თბილისსა და მოსკოვში თარგმნა და გამოაქვეყნა 40 წიგნი, 100-მდე სტატია ქართული ლიტერატურის, კინოს, თეატრის, ფერწერის, მხატვრული თარგმანის პრობლემების, ისტორიული და კულტურული ურთიერთობების შესახებ. იგი აგრეთვე თარგმნიდა ქართულ დრამატურგიას, სცენარებს, სამეცნიერო შრომებს ხელოვნებაზე. 1991 წელს, განაგრძობდა რა ქართულიდან თარგმნას, იგი გამოდიოდა, როგორც პუბლიცისტი რუსულ პრესაში: „იზვესტია“ „კულტურა“, „ლიტერატურნაია გაზეტა“, „დრუჟბა ნაროდოვ“, „დიალოგი“, „ისტინა ი ჟიზნ“ და სხვა. ქართული ხელოვნებისა და პოეზიის საღამოებს მართავდა მოსკოვსა და სანკ-პეტერბურგში. ორგანიზაციას უწევდა საქველმოქმედო საღამოებს საქართველოს ბავშვებისა და ბავშვთა სახლებისათვის. შეძლებისდაგვარად დღესაც განაგრძობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას. თანამშრომლობს მოსკოვში გამომავალ გაზეთებთან, მონაწილეობს ინტელიგენციის შემოქმედებით შეხვედრებში. ლტოლვილთა დასახმარებლად დიდი ძალისხმევით ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1989 წლიდან მონაწილეობს სამართალდამცავ მოძრაობაში. მან მნიშვნელოვანი სტატია დაწერა **„ევგენი ევტუშენკო და საქართველო“, თარგმნა თამაზ ჭილაძის სამი პიესა, გურამ ბათიაშვილის ორი მოთხრობა, ოთარ ჭილაძის რომანის „ველუნის“ და ნიტა ტაბიძის მოგონებების წიგნზე „ცისარტყელა განთიადისა“ – რეცენზიები**.

ქალბატონი ანაიდა ხშირად გამოხატავს მადლიერებას თავისი მასწავლებლების – **ფატმა თვალთვაძისა** და **ლევ ოზეროვის**, აგრეთვე ყველა იმ ქართველი მწერლის მიმართ, ვისაც თარგმნიდა და ვის შესახებაც წერდა. **ქართველი მწერლები მადლობას ვუხდით მას სიყვარულით გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, მეგობრობისათვის, პიროვნული სიკეთისა და იმ ქალური ხიბლისათვის, რაც ქალბატონ ანაიდა ბესტავაშვილს 80 წლის ასაკშიც ასე ამკობს**.

გილოცავთ, ძვირფასო მეგობარო, და გისურვებთ ჩვენს შეჭირვებულ დროშიც არ დაგვეკარგოს ერთმანეთისადმი სიყვარულისა და თანადგომის იმედი.

კამილა კორინთელი, გურამ ბათიაშვილი, გურამ გვერდწითელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ფიფფიკაძე, თამაზ ჭილაძე, მზია ხეთაგური, ეკა ბაძრაძე, იზა ჯაჭვაძე, მარინე თეძთუმანიძე, ირინე გოჩაშვილი, მარინე ფოფკოლაური, დიმიტრი მონიავა, ლიდია გრიგორიევა, ნატაშა სოკოლოვსკაია.

დაწესდა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია

ირაკლი ღარიბაშვილი: „ქართველები სამართლიანად ვამაყობთ, რომ გვყავს მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედი, ბუმბერაზი ადამიანი და მოაზროვნე, რომელიც ამ ეზოში გაიზარდა, ამ სივრცეში იქმნებოდა ვაჟას შესანიშნავი და გენიალური ნაწარმოებები. ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ ას წელზე მეტი ხნის წინ აფასებდა იმ ღირებულებებს, რისკენაც დღესაც ისწრაფვის კაცობრიობა. მჯერა, რომ ერი, რომელმაც ასეთი შვილი გაზარდა, იმ ღირებულებებით, იმ სულიერი სიმაღლით, რაც ვაჟა-ფშაველას ჰქონდა, აუცილებლად გადალახავს ყველა სირთულეს, აუცილებლად მოიპოვებს წარმატებას, გამარჯვებას და მიაღწევს საერთო ქართულ მიზანს, „ჩვენი ქვეყნისა და ერის გამთლიანებას“...

ლიტერატურის დარგში ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია დაწესდა, – აღნიშნული სიახლის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩარგალში, ვაჟაობის დღესასწაულზე განაცხადა.

უკვე შექმნილია „ლიტერატურის დარგში ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მინიჭების საკითხების განმხილველი კომისია“, რომელიც პრემიის მინიჭების პროცესს წარმართავს.

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია – ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო, 10 000 ლარის ოდენობით, ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა.

პრემიერმა ვაჟაობა სრულიად საქართველოს მიულოცა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ იდეა, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის დაწესების შესახებ, რომელიც ვაჟაობის დღესასწაულზე პირველად ბიძინა ივანიშვილმა გააჟღერა, განხორციელებულია.

წელს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა. კონცრტი, სპორტული ღონისძიებები და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, ტრადიციულად, ვაჟაობის სახალხო ზეიმის შემადგენელი ნაწილები იყო. ღონისძიების დასასრულს, მთავრობის მეთაური ჩარგალში ახალი ხიდის გახსნას დაესწრო, რომელიც სოფელს ეკლესიასთან აკავშირებს. ადგილობრივებმა პრემიერს მადლობა გადაუხადეს და განაცხადეს, მდინარეზე გადასასვლელის არარსებობა წლების განმავლობაში პრობლემებს უქმნიდათ.

ტრადიციული შეხვედრა თუშეთელებთან

თუშეთის ბუნება როგორც ზაფხულში, ასევე ზამთარში გამოირჩევა თავისი სილამაზით. ზამთარი მკაცრი, ხანგრძლივი და დიდთოვლიანი იცის. თოვლში ჩაფლული კოშკები უტყვ დარაჯებს გვანან ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში.

დღეს თუშეთში 50-ზე მეტი სოფელი თუ ნასოფლარია შემორჩენილი, მხოლოდ რამდენიმე მათგანში ცხოვრობს მოსახლეობა მთელი წლის განმავლობაში. ზამთრის პერიოდში თითქმის 5-6 თვის განმავლობაში თუშეთი გარე სამყაროს მოწყვეტილია და მაისის ბოლომდე დიდ თოვლობისა და უამინდობის გამო, სახმელეთო მიმოსვლა ჩაკეტილია.

ამჟამად მთაში დარჩენილია 26 ადამიანი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ **სოფელ ომალოში, შენაქოში, ჩიღოში, კვავლოში და წოვათაში**. ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყოველთვის ყურადღებას იჩენს და ხელს უწყობს თუშეთში მუდმივად მცხოვრებ ადამიანებს.

წელსაც, ავიარეისით, ახმეტის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი **ზურა ზვიადაური**, გამგებელი **ბექა ბაიდაური** და გამგებლის მოადგილე **მათე ქავთარაშვილი** ტრადიციულად ესტუმრნენ მთას და იქ მცხოვრებლებს. აუტანეს სხვადასხვა სახის პროდუქტი და საჭირო მოხმარების ინვენტარი.

თამარ ახალაური

მიხეილ ჭინჭარაული

საჯიხვეში მივდივარ

მალე წავალ საჯიხვეში,
დავაგორებ ხარებს
და მთებს მხარ-ბეჭიანებს,
გადავაცმევ შავებს.
მაყოლებდა ქარაფები
აცრემლებულ თვალებს.
თოფის ტყვიით გვარს დავაწერ,
ბერლოს ეხის კარებს.
ან დაქუეხს ვეტყვი ამბავს,
ბარის დანაბარებს.
ხევებში მივუსამძიმრებ,
ცრემლად დაღვრილ ზვავებს,
სიზმრად გავებაასები,
კლდეში ეშმათ ქალებს,
ყველას თავისას მივუზღავ,
არ შევირჩენ ვალებს.
ვაჟი უნდა მიეტრფოდეს,
გულს რაც გაახარებს,
სანამ წუთისოფლის ეტლი,
უფსკრულს გააქანებს.

წუხილი

ფიქრმა წამართო გონება,
შორს გავყევ ფიქრთა დენასა.
ფიქრი ჰგავს საჯიხვეებზე,
გრიგალთა გადადენასა.
გულს ისე შემოგაწვება,
ვერ ათქმევინებ ენასა.
ხან ვიტყვი — თავი მოვიკლა,
ხომ სჯობს ამდენა თმენასა.
არ ვიცი, ზოგ ხასიათზე,
რა მომაგონებს წყენასა.
ვერ მოვისვენებ, თუ გინდა
თავები დავსჭრა ყველასა.
ცოტა მაკლია ზოგჯერ კი
ცრემლების ჩამოდენასა,
რა უყოთ, ერთად დაბინდულს,
ჭკუას, გონებას, სმენასა.
ამ ოხერ მდგომარეობას,
დრო შესცვლის უკეთესითა.
გონება გამინათდება,
როგორც აბედი კვესითა.
სიცოცხლე მოწყურებული,
გული არ ბორგავს კვნესითა.
დავდივარ გაღიმებული,
ვანა კბილების ლესითა.
ხმატკბილად ღუღუნს დავიწყებ,
როგორც ბუხარი შეშითა.
ვამაყობ ჩემი ძალ-ღონით
ისე, ვით ტახი ეშვითა.
ფეხებზე მკიდავ ცხოვრება,
ერთ სიტყვით
ყველა მეშვითა!
ხან თუ ღვინოს
ვსმავ ყანწებით,
ხან სისხლსაც დავლევ ბეშვითა.
სულს ვაქეიფებ ზეცაში,
მიწას გავაძღებ ლეშითა,
ხან ღიმილს ვაფრქვევ გარემოს,
ხან თვალებს ვითხრი ბრეშითა.

აპრილი

აპრილო, კვირტთა სკდომის თვევ
და სიხალისევ გულისა.
ხარ ნაკადულთა ჩუხჩუხი,
სურნელი თაიგულისა,
ცაში ნავარდი მერცხლისა,
საამო ხმა ბულბულისა.
ჩვილს გავხარ, ახალ ფეხადგმულს
ოცნებას ბავშვის სულისა.
შენი სინაზე, სიტურფე,
წლის სამივე დროს შურისა.

ქეიფი

ყანწი შეავსეთ წინწარაქალით,
და ჯიხვის ხორცი ხინკალში ჩადეთ!
ბალალაიკა დაიაურთ კაცს,
შაშხანა კიდევ მე მომაწვადეთ!
თავი მიეცით გიჟურ სიმთვრალეს,
სიფხიზლის ზღვარი,
სულ ახლოს დადეთ,
ქეიფის ეშხი, ლამაზი ქალიც,
არა ჩანს, ეხლავ, აქვე დაბადეთ!
ვის ენაღვლება ხალხის ქილიკი,
წაიღეთ სადმე და შორს გადადეთ.

აგვისტო თბილისში

სუნთქვა ჭირს, ბული ტრიალებს,
აგვისტოს სიცხე დგებაო,
თბილისში შატილიონი
სანთელივითა დნებაო.
ნეტა ვინ დამსვა ბერლოსა,
ვაიმე ჩემო დედაო!
ერთი მათარა მთის წყალი,
მალამოდ შამერგებაო.
იქნებ ქვეც ამაბაბანას,
ღამე რომ აცივდებაო.
უმზეოდ გათბობს ხარლაღი,
დილას რომ შამაგხვდებაო.
შაშხანის ზატორს მარჯვენა,
მაგნიტივითა ჰყვებაო.
ზრიალს დაიწყებს გორები,
თოფი რომ გავარდებაო.
და მონადირე ნაცადი
დინჯობს არ აჩქარდებაო.
საღამოს ბერლოს ეხშია
ჯიხვის მწვად შეიწვებაო.
მთის გრილ წყაროსთან ერთადა
გემოზედ შეიჭმებაო.
დედას უტირებ, დედასა,
მაგის დროც დამიდგებაო,
ჯიხვთ დასვენებას ვაკმარებ,
ღმერთი ნუ გამიწყრებაო.

აპრილი მთაში

ხევსურულ კოლოზე

მთებში შეაღწია, გაზაფხულით ექომ,
ტყავნი წაიყარნა, ბანიკაზე მექომ,
ხოშაქს შამასძახნა —
ქალო რაკა დღეა!
— ქარიპანში დავსხდათ,
საამური მზეა.
ხოკრით ხელში,
ხოშაქმა გამოაღო კარები,
ქარიპანას დააცქერდნენ,
მისი ნაზი თვალები,
მზე ქარიპანს ათბობდა,
კისკისებდნენ ქალები,
მამაკაცთაც გაავლეს,
ყანას ზოლად კვალები.
სახვნიელი ჭრიჭინებს,
ბუბუნებენ ხარები.
ბარში ია იშლება,
მთებში შურთხის ფარები.
ვით ვეშაპნი ვაება,
გაწოლილან ზვავები,
ხარობს მთელი ბუნება,
მის ფერხულში ჩავები.

წარსულ სიყვარულს

რ.გ.-ს

გოგონას, რომელიც მიყვარდა, ოცი
წლის შემდეგ კი რამოდენიმეჯერ მესიზმრა:

სიჭაბუკის დროს მიყვარდი, ქალავ,
და იმ ქარ-ცეცხლში ახლაც ვვარდები.
მკაცრი გეგონე? არა, ძვირფასო,
სიყვარულში ვის დაუვარდები.
წლები გავიდნენ, სიზმარში გხედავ,
ტურფა ზმანებად მომელანდები,
გამეღვიძება, ნატყვიარივით
შემომაწვება გულზე დარდები.
სიყვარული კი არ ჭკნება თურმე,
დამჭკნარან ჩვენი დროის ვარდები.
ჰაუ, ტრფიალო, გაუხუნარო,
ნუთუ არასდროს გაფერმკრთალდები.

დედათ უქმი - ჩიჩაბათი

დღე გათენდა ხელუძრავი,
უსაქმობა დედებისა,
სხვა კი არა შეიძლება,
გარდა ხინკლის კეთებისა.
ქეიფიც კი არას დაღლევს,
არაყს თითზე ეღებისა.
აჟღურტულდან დიაცები,
ხმა მევონას გედებისა...
ერთუთს მისცან ტკბილი ბანი,
ღუღუნი დგას მტრედებისა.

სანათას

ვინ მოიგონა ბუტიაობა,
რომელმა ეშმამ გამოუტია,
შენც გაბუტული, მეც გაბუტული,
ერთმანეთს შევხვდით ორი ბუტია.

ალექსი ჭინჭარაულს

(ლეკოთ ნიქას)

ბატონმა ალექსიმ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დაიცვა, რამაც ძალიან გაგვახარა შატილიონები. გადავწყვიტეთ ალექსი შატილში დაგვეპატიჟა, მაგრამ ალექსი ვერ მობრძანდა მისთვის განკუთვნილ სუფრაზე, ვინაიდან გასვენებებზე მოუხდა წასვლა. რაზედაც ეს ლექსი დავწერე.

შენს დოქტორობას ავღნიშნავთ,
შატილში არის დღეობა,
ქალი და კაცი ზეიმობს,
გავღმართეთ დიდი ღრეობა.
ცხრა, ათი დღეა სასმელს ვსვამთ,
ხან კოშით, ხანაც თასითა,
ზედამდევ არავისა სთხოვს,
კოდებთან მისვლას საშვითა.
„ალექსიობა“ რაც მიდის
დავდივართ საგსე ფაშითა.
მხარიც მომირჩა, მუხლიცა,
ლეკოთ მიხაის ხაშითა.
ხან ვიტყვი: ფრთები გავშალო,
ხანაც, გავფრინდე რაშითა.
ხალხ დადის, უგონთ ნამყოფი,
არვინ კითხულობს — რა სვითა?
მუქთია სასმელ-საჭმელი,
ყიდვა არ გვინდა ფასითა.
ყანწ მოდის გაუტუხვილი,
გვეხვეწებიან — შასვითა!
შეკრიბეს ათას-ათასი,
სოფლელთ რამ გაიგონესა,
ლუდიც ედუღა სვიანი,
ვაჟებსა თავმომწონესა.
გიცდიდა მთელი შატილი,
დაინატრებდი რომელსა.
მაგრამ არ იქნა, ვერ მოხველ,
დავემსგავსენით მონებსა.
ერთ კვირას გელოდებოდით,
ვაგებდით ფიქრის ყორესა.
ღმერთმა აცხონოს წასულნი,
კინაღ, თან გაგიყოლესა.
სხვა ზაფხულ მაინც ჩამოდი,
ვერ მოიკრება ღონესა?
უფალს ვთხოვ, გამოსჯეილდე,
თან-თან მოგეცეს მხნეობა.
კვირობდეს: ნაცნობ-უცნობი,
ქალებშიც გქონდეს ზეობა.
და დოქტორობის წლის თავზე,
შატილს ავღნიშნოთ ძეობა.

სტომატოლოგ ირაკლი არაბულს

ეგრე პროფესორ ვერ იზამს,
კბილ ამომიღა რომაო.
მიბურღ-მიმტვრია ჩაქუჩით,
ყბის ძვალიც მიაყოლაო.
ჰაიმორის ღრუს უწვდინა,
გასივდა ჰაიმორაო,
ორ დღეს სისხლის ღვრა მიდისა,
ვით ნაკადულთა სრბოლაო,
ვყვიროდი გამწარებული,
ბებო მიშველე, ხორაო!
შატილ რას გავაგონებდი,
იყო ძალიან შორაო.

მგელათ გიორგის ქართველ ექიმს

ჩემი ბარისახოში მუშაობის პერიოდში, გიორგი მგელას ძე ლიქოკელი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, ორჯერ გადმოვარდა თავისი სახლის კიბიდან. ერთხელ ხელი ამოიგდო მხრის სახსარში, ერთხელაც მიიღო სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა. თანაც პოეტობა ეხერხება, რის გამოც მივწერე გამომწვევი ლექსი.

სულით იყავ მარად წმინდა,
ქართველ ხალხის მკურნალ-მხსნელი,
უტყუარი ყოფილიყვეს
დიაგნოზი შენს მიერი.
კეთილსა და კარგ საქმეში
ღმერთმა მოგიმართოს ხელი
და სიკვდილის დამარცხებით
გესახელოს შენი ერი.

ვაჟა-ფშაველას

ჩარგალში სტუმრად მოვსულვარ
მკერდნატყვიარი ლუხუმი
ჭალაში ჩამომეგება
შენი ლომების ბუხუნი.
მურყნებით სავსე რიყეში
ვუზივარ ფშაურ სუფრასა,
მთებს გიდღეგრძელებ პოეტო,
ქართული ლექსის უფალსა.
მეც მერგო წილად არაგვთან
ჩამომუხლება წამითა,
მკერდს მუავე წყალი ვისხურე
წიფლის ვეება ჯამიდან.
მეც მთების ძუძუ ნაწოვი,
ქარაფებს ავეტოტები,
საზომად კაცურ კაცობის
მაქვს შენი წიფლის ტოტები.
მართვე ვარ მეც იმ არწივთა,
კრწანისს რომ ღებდნენ სისხლითა,
ქარი მიმღერდა ნანასა
და ნისლს ლოგინად მიშლიდა
მეც იმ ტყის ერთი ყლორტი ვარ,
შენს ფესვებზე რომ იზარდა
და ქართულ სიტყვის დიდება
დამისახია მიზნადა...
ხარ კლდეს მომსკდარი არაგვი,
ხარი ხარ ნამაისარი,
„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

გაბრიელ ჯაბუშანურს

გადმოვიარეთ მთები არხვატის,
აქ შენი სულის ძახილს დავეძებ,
არც სოფელია სადმე, არც ხატი,
რომ მივიდე და მუხლზე დავეცე.
ძმაო, პოეტო, კაცო კაცურო,
ღირს ამ მთებისთვის თავის განწირვა,
მწვანე წარაფში ქარი ფათურობს,
მხარი გაარტყა ზეცას არწივმა.
აქ მთაც ბევრია და უფსკრულებიც
შენს უშქარ ლექსში გადანახატი.
მოველ სულ სხვაგვარ დანიშნულებით,
როგორ მეგონა, რომ აქ ვნახავდი.
ვინ მეტყვის ენა არ აქვთ ნაყორებს
სად გადაირწა აკვანი შენი,
რატომ ვამსგავსე, ან რად მაგონებს
მზექალს, ასასთან დამფრთხალი შველი.
ვის ავეკიდო მითხარ საშაროდ
ვარ გარეული კაცი იგავთა,
წამოდექ! მუხლი კიდევ გავშალოთ,
შენ ხომ ეს მთები ასე გიყვარდა.

გაბრიელ ჯაბუშანურს

უძირო ზღვაა გული პოეტის,
ცოტა სწყინს, უფრო ცოტა ახარებს,
მე, შენს საფლავთან დღესაც მოვედი,
მე შენს საფლავზე ცრემლი დავღვარე.
ახლა ჩვენ შორის სხვაა მანძილი,
მარტო ვარ, ვუცქერ
შენს დაღლილ სურათს,
ფიქრი ქუჩაში გამომაცილებს
„და თვალი
ისევ ცრემლებში სცურავს“.
ისევ იწყება ჩუმი წამება
დავეძებ ზღვაში მე ოქროს თევზებს,
დაველოდები დღის დაღამებას,
რომ მზის მოსვლამდის
ვიფიქრო შენზე.
კაცო კაცურო, ვინ მცეს ნუგეში,
მე, ფიქრი ჩემი შენთან მომქონდა,
შენს, საძვალესთან ვარ დიდუბეში
და ეს დღე ჩემთვის — არის ვოლგოთა.

ბლოში

დამალოცვინე შენი სოფელი,
შენი ჭერხო და შენი ბუხარი,
ეს სანახები დამალოცვინე,
ეს ჩანჩქერები კლდეში მქუხარი.
მე აქ მოვსულვარ, როგორც სნეული
ამ სიყვარულში შენი მოცილე,
დამალოცვინე, ეს ხოდაბუნი,
ეს ჯვარისკარი დამალოცვინე.
გადამიყარე გულიდან დარდი,
გადამატარე მთები შიშველი,
დამაკიდინე ხელნაზე გუთნის
ჩემი ფარი და ჩემი შიმშერი.
ჩამადგმევინე წყალზე წისქვილი
და ეს წუხილი დამაფრქვევინე,
ან ამიკიდე, ან ამეკიდე,
ან თქვი რაღაც და ან მათქმევინე.
მთები მთიბლურით შემაძვრევინე,
ამალესინე ცერზე ნამგალი,
ეს ბალახები დამათიბინე,
დამამკევინე ჯვარის სამკალი.
დამაცლევინე ჭიუხში თოფი,
დამწიე ყრმობის დღეებს გაფრენილს,
მე აქ მოვყავდი სიყვარულს სოფლის
და დამილოცე ეს ყველაფერი.
მოვედი მგზავრი, დაღლილი გზებით,
მე სიყვარულში მთების მოცილე,
დამალოცვინე ჩაჩაურ მთები,
და ეს ორღობე დამალოცვინე.

მთაში განთქმული მელექსე კაცი

ხალხური მოქმელის ხვთისო გიგაურის ხსოვნას

მთაში ლექსებით განთქმული კაცი
სატევარივით ხმარობდა სიტყვას,
არ შეუშინდა დროსა და მანძილს
და ტვირთი მხრებით დაჰქონდა დიდხანს.
და ისმებოდა ჯამებით ლუდი,
და ირჩეოდა ამბები თემის,
პირში მოქმელი და ორგული ცუდის
სიტყვას ამბობდა უფროსი ჩემი.
და მაღლდებოდა თაღები კოშკის,
და ნათდებოდა ცის შორი კიდე,
და ასკდებოდა არაგვი როშკის
გულამღვრეული მორყეულ ხიდებს.
მზე ჩადიოდა,
და მთვარე დიდხანს,
დიდხანს ეკიდა კენწეროს ნაძვის,
თემს თავისთავად სჯეროდა სიტყვა
მთაში განთქმული მელექსე კაცის.

ზღვაზე

ეხეთქებიან ტალღები ნაპირს,
არის მარულა მზის და ქალების,
მე ახლაც მახსოვს ის თეთრი ქაფი
და მომლოდინე შენი თვალები.
ო, ნუ დამწამებ ძვირფასო ღალატს,
მახრჩობს წყურვილი ესოდენ მძაფრი,
ახლა იმ ხესთან სულ სხვები დგანან
და ასკდებიან ტალღები ნაპირს.

ვინ იცის

რამდენი გზა და ხიდია,
რამდენი კლდე და მყინვარი,
ნეტა საითკენ მიდიან
ეს წეროები მყივარი.
მთა ადგა, როგორც თამადა,
ნისლი ახვეტეს ქარებმა,
ვინ იცის, იქნებ ამათაც
დედისკენ მიეჩქარება.

ქვეყნად რომ კაცის სახელი გერქვას

ყველას თავისი რაღაცა უჭირს,
ყველა თავისას უკეთებს ბუხარს,
გულის გატეხა და ნატვრა ფუჭი
გიკვირდეს უნდა ვაჟკაცი თუ ხარ.
ქვეყნის საქმეზე იფიქრო უნდა
და არა მხოლოდ საკუთარ თავზე,
ტკივილი ხალხის მიგქონდეს გულთან
და გქონდეს გული იმედით სავსე.
მაშინ იტყვიან, რომ არ ხარ კენტი
და შენც საერთოს კიდიხარ ერქვანს,
უნდა იბრძოლო, რა გითხრა მეტი,
რომ ქვეყნად კაცის სახელი გერქვას.

შენ, ტყემლები და მთვარე

ცაზე ნამლევა მთვარე,
მხრებზე ყვავილი ტყემლის,
მოგვაცილებდა მთვრალებს
შენი ობოლი ცრემლი.
საგზლად ლექსები გვედო,
ბარი სწყუროდათ თვალებს
და მოგვყვებოდით დედი:
შენ,
ტყემლები და მთვარე.

მოლოდინი

დუმს ტელეფონი,
ქარია გარეთ,
და სიყვარულით თრთიან გულები,
ვიწვი,
ვღრიალებ,
ვყვირი მაკმარეთ!
ფიქრი ესოდენ დაუსრულები.
ძე კაცის არ ჩანს,
მე დავრჩი მარტო,
დუმს ტელეფონი და ნერვი წყდება,
დუმს ტელეფონი, არ ვიცი რატომ,
თუმც ქვეყნად ჩემო ბევრი რამ ხდება.
მაღალო ღმერთო,
მზეო მარიამ,
რამ გააცივა დღეს ეს კედლები,
ახლა მის ირგვლივ სხვები არიან
და მე, დარდისგან აქ ვიფერფლები.

***

ვარ გატყორცნილი, როგორც ისარი...
ვეღარ ვნახულობ სოფელო ჩემო,
ეს ორღობენიც ვეღარ ვიცანი
და დიდკაცობას ამაოდ ვჩემობ.
შემომეხარჯნენ ბავშვობის წლები
და უხსოვარი ზღაპრების რემა,
მივალ დაღლილი საღამოს ვწვები,
რომ მზეს აასწრონ მუხლებმა ჩემმა.
ზღვაში შეცურდა ცისფერი ნავი;
იქ, ვიღაც ქალი თიკნებს მოდენის,
იქნება დროა მოვიკლა თავი,—
ან დარჩეს კვალი მცირეოდენი.
ავახ! ცოდვილი სულის იარებს
და ამ ჩემს ასე გადაბირებას,
როგორც სტუმარმა ჩამოვიარე
და ვეღარ მიცნეს ივრის პირებმა.
ვარ გატყორცნილი, როგორც ისარი...
ვეღარ ვნახულობ საჭურევ ჩემო,
ეს ორღობენიც ვეღარ ვიცანი
და დიდკაცობას ამაოდ ვჩემობ.

წვიმის შემდეგ

გადაიღო, შეშრა ნამი
ფოთოლს ქარი აქანავებს,
ზღვის ნაპირზე ისმის ჩქამი
თეთრი ტალღა კოცნის ნავებს.

გიორგი წიკლაური

18 ივნისს 77 წელი შეესრულებოდა ეპეპ...

ნაადრევი არაფერია ცუდი სიკვდილის გარდაო, ნათქვამია. ნაადრევი ყველაფერი კარგია, გარდა სიკვდილისა. — მძიმე სენით შეპყრობილი, დაუძლურებული და უსუსური, შვილებსაც ვეღარ გვიმზერდი იმედის თვალით... დროც ისეთი იყო... და აღზრდაც ისეთი გვქონდა, ამ არეულ ქვეყანაში ადგილის პოვნა და დამკვიდრება, რომ გაგვიჭირდებოდა — გრძნობდა შენი მისანი გული. ალბათ ამანაც მოგიღო ბოლო, საბოლოოდ, გვაპატიე მამა...

ღმერთმა ინებოს, შეგვაძლებინოს, ცხოვრების კალო ისე გაგველეწოს, შენ რომ გაგიხარდებოდა და გზაგასაყარზე მონატრებულ მამასთან — გულმართალნი, პირნათელნი წარვმდგარიყავით...

შვილები

არ თავდება ტალღის რისხვა
სამუშაო ყოფნის ქარებს,
მთამ ბურუსი წამოისხა
შეეფარა ღრუბელს მთვარე.

დგას ნაპირი როგორც ჩრდილი
ფოთოლს ქარი აქანავებს,
ქარქაშიდან ამოწვდილი
თეთრი ტალღა კოცნის ნავებს.

სადღეგრძელო

მთას დაკიდული ვით სატევარი
შხუოდა წყალი,
ღელავდა მდელო
და ჩემი ხელის ტლანქი მტევანით
მკერდზე ვიღვრიდი
შენს სადღეგრძელოს
ბორგავდნენ მთები,
ბორგავდა ჭალა,
მე არაგვის ხმით ჩავძახდი მდელოს,
დიდება მარად,
დიდება მარად,
დიდება მარად ჩემს საქართველოს.

დაბადება

მე წარაფიდან იმ ღამეს ვიშვი,
ვეფხვი კლდეს მწკლით რომ გადმოეკიდა,
დილით კოპალას ვილოცე ნაში
და ვწოვე სისხლი დევის ნეკიდან.
მტკივა ჭიუხი და წმინდა ფშანი,
ვარ არაგველთა ამაყი ჯიშის
და ჩემში დავლურს
უვლიან მთანი, —
რამეთუ მათი
ტანიდან ვიშვი.

კანონპროექტი «სახელმწიფო ენის შესახებ» დამტკიცდა

„სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტით, კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე, აფხაზური. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას და სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე.

კანონპროექტი ადგენს, რომ სახელმწიფო ენაზე სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება არის საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლება; საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა, ხოლო არასახელმწიფოენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან შესაბამის კონტიგენტს შესთავაზონ სახელმწიფო ენის შესწავლის სპეციალური კურსი; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ოფიციალური საქმისწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე; სამართალწარმოებისა და საკანონმდებლო საქმიანობის ენაა სახელმწიფო ენა; საქართველოს სამხედრო და გასამხედროებულ ძალებში ოფიციალური საქმიანობა ხორციელდება ქართულ ენაზე; რეფერენდუმის, პლებიციტის და სხვა ოფიციალურ ღონისძიებათა ენა არის სახელმწიფო ენა; კონკურსებისა და ატესტაციების ენა არის სახელმწიფო ენა; აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ შექმნას სათანადო პირობები, სახელმწიფო ენის შესწავლისა და გამოყენებისათვის; მუდმივად იზრუნოს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე; ხელი შეუწყოს ქართველოლოგიურ და აფხაზოლოგიურ კვლევებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ყოველი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია ფლობდეს სახელმწიფო ენას. კანონპროექტის მიხედვით კი, ამ მოთხოვნასთან პირის შესაბამისობა დასტურდება: სახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დოკუმენტით; საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი არასახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დოკუმენტით; სახელმწიფო ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტით (სერთიფიკატით).

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობასთან საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნას. დეპარტამენტი მოიაზრება როგორც ინსტიტუცია, რომელსაც სახელმწიფო ენის ერთიანი პოლიტიკის განხორციელება, ენის განვითარებასა და შესწავლაზე ზრუნვა დაეკისრება.

ქვემო ალვანის წალკოტში

და-ძმა მარგალიტა (მარგო) და გალილე ნაცვალაიძეები თუშეთში, გომეწრის ხეობის სოფელ დოჭუში დაიბადნენ. მათმა მშობლებმა: რეპკო ხაჩიძემ და დანიელ ნაცვალაიძემ ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში დაიდეს ბინა. იმ დროისათვის თუშეთი დაცლილი არ ყოფილა. დოჭუ მაშინ ოცდაათ კომლს ითვლიდა და შემდგომში მოსახლეობა მომთაბარეობას ეწეოდა.

ნაცვალაიძეების ოჯახი ზაფხულობით თუშეთში მიემგზავრებოდა. საქონელს ბავშვები მიდენიდნენ, ხოლო მშობლები ცხენებზე ისხდნენ და ისე გადაჰყავდათ იალაღებზე საკუთარ სოფელში და მის სიახლოვეს აძოვებდნენ.

იქაურ საზაფხულო ცხოვრებას ხიბლი და სილამაზე ახლდა. ბავშვებს გვიხაროდა საქონელში ყოფნა. უფროსები ძროხებს აძოვებდნენ, ჩვენ კორდზე ვკოტრიალობდით, მიყვება მარგო ნაცვალაიძე...

ერთხელაც მამამ მე და გალილე მთაში რომ წაგვიყვანა, მაშინ 12-13 წლისანი ვიყავით. დედა ალვანში დარჩა... ჩვენი სახლის ორი ფანჯრის ფარდა გავრეცხე, გავფინე და მერე მეგობრებთან სათამაშოდ წავედი. როცა დაბრუნდი ვხედავ ჩემს ძროხას თავგაყოფილს ფარდაში. ამის გამო შევიცხადე და წივილ-კივილი ავტეხე. ძროხა გაიქცა და ჩემი დახეულ-დაგლეჯილი ფარდა თან გაიყოლა, რომელიც სოფლის ბოლოში ხის ტოტზე გადაკიდებული ვიპოვე. ერთი ფარდა შუაზე გავჭერი და დაპატარავებულიღა ჩამოვკიდე, ამბობს წარსულზე თხრობით გატაცებული ქალბატონი მარგო... ჩემთან საუბრით ახალ მონათხრობს კვლავ წარსულში გადავყავართ...

სკოლის პირველი კლასიდანვე შეუყვარდა თანაკლასელს – **გოგი ნახუცრიშვილს** და შემდგომში მათი თანაკლასელობა დიდ სიყვარულში გადაიზარდა და ქორწინებით დაგვირგვინდა. ეყოლათ ერთი ქალიშვილი – **ლია ნახუცრიშვილი**.

მარგოს ძმა **გალილე ნაცვალაიძე არაჩვეულებრივი ადამიანია.** მძღოლად მუშაობდა თუშეთში. ალვანიდან გადაჰყავდ-გადმოჰყავდა მგზავრები. მისი მეუღლე ნინა ვეშაგურიძეა. ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ...

ახლა კი მარგალიტას წალკოტში ვარ. ეს ეზო თბილისის ბოტანიკურ ბაღს მაგონებს... ზამთრის დღეღამეებში წინდების ქსოვით ირთობს თავს ეს მშვენიერი თუში ქალბატონი. გაზაფხულიდან დაწყებული ეზოს ამშვენებს ათასგვარი ვარდები, მრავალი სახეობის ნაირფერი ყვავილები.

ვეებერთელა ბანანის ხეები, გამორჩეულად მშვენიერს და თვალწარმტაცს ხდის მათ ეზოს, რომლის შუაგულში დგას უზარმაზარი კაკლის ხე, რომელსაც ზაფხულობით **ლია ნახუცრიშვილი** ოთხი ულამაზესი შვილის – **გიორგის, დიანას, მარიტას, სოფო ცისკარიშვილების დედაა.** სხვადასხვა სახეობის მოგალობე ჩიტები სტუმრობენ ხოლმე და ისედაც რომანტიკულ გარემოს საამური ჰანგებით ავსებენ.

ლია ნახუცრიშვილმა ქვემო ალვანში, ალაზნის პირას კარგა ხანია მცირე საწარმო შექმნა. მას შემოკრებილი ჰყავს თუში მანდილოსნები, რომლებიც ძველთაგანვე ტრადიციულად მისდევენ მატყლის დამუშავებას და მისგან ამზადებენ ფარდაგებს, წინდებს, „ჩითებს“, ჩვათებს, ხურჯინებს, ნაბდებს და რას არა. თუშების ნახელავს ხომ ანალოგი არ მოეპოვება. მატყლისგან დამზადებული ძაფი (ბაწარი) ყველაზე უკეთ თუშებმა, ხევსურებმა, ფშავლებმა და საერთოდ მთის მოსახლეობამ იცის, ასევე თვალწარმტაცი ნახელავის ოსტატები არიან პანკისელი ქისტები, რადგანაც მათი ტრადიციული ცხოვრების წესია და მარჩენალიც. ამიტომ არის განსაკუთრებულად მიმზიდველი და მაღალხარისხიანი ბუნებრივი საღებავებით დაფერილი სხვადასხვა სახეობის ბაწარი და მისგან დამზადებული ხალხური ხელოვნების ნიმუშები. მოთელილი მატყლისგან მზადდება მწყემსის ნაბადი, ცხენის უნაგირზე დასაფენი ქევანი (ჩული), მხატვრული ნაბდები, ხელჩანთები, ჟილეტები, ასევე ინტერიერის გასალამაზებელი სხვადასხვანაირი აქსესუარები, როგორც ტრადიციული, ასევე სტანდარტული ორნამენტებით და თუშეთის პეიზაჟებით. თავადაც უმშვენიერესია ლია ნახუცრიშვილი, რომელიც თექის დამზადების დიდოსტატია, იგი ყმაწვილობიდანვე დაინტერესებული ყოფილა თუშური ხელსაქმით, ტანსაცმლის მოდელირებით და ინტერიერის გალამაზებით. იგი პროფესიით ეკონომისტია. დედამისი მარგალიტა ნაცვალაიძე ჩინებული მქსოველი და ყვავილებზე უსაზღვროდ შეყვარებული.

ლია ნახუცრიშვილმა არაერთხელ გამართა გამოფენა საკუთარ საწარმოში, რომელსაც არაერთი ქართველი თუ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ხელსაქმით და თუშური ხალხური ტრადიციებით დაინტერესებული პიროვნებები, პროფესიონალი მხატვრები, მკვლევარები, ექსპერტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჰოლანდიიდან, ახალი ზელანდიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ყირგიზეთიდან და საიდან აღარ მოდიან, რომელთაც გამართეს საჩვენებელი ლექციები ხალხური ხელოვნების მარკეტინგზე, ხალხური რეწვის, კერძოდ, ნაბდის აღორძინების წარმატებულ პროექტებზე, წარმოაჩინეს საქართველოში ნაბდის წარმოების ნაკლებად ცნობილი ტექნოლოგიების დემონსტრირება.

თანამედროვე ქართულ კულტურულ სივრცეში კარგახანია, რაც მხატვრულმა ქსოვილმა მსოფლიოში უკვე განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. ხალხური ხელოვნების ნაირსახეობათა სიმრავლე თბილისის ნებისმიერ სალონსა თუ ცალკეულ სახელოსნოში გვხვდება.

ჩვენი ქვეყნის კულტურული სივრცისათვის ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლა კი, ქვემო ალვანში, ნახუცრიშვილების ამ მშვენიერ ეზოში და ახლად მოწყობილ სასტუმროში ლია ნახუცრიშვილი და დედამისი – მარგალიტა ნაცვალაიძე, სხვადასხვა ქვეყნის სტუმრებს მასპინძლობენ. სტუმრებმა აქ ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები და სხვადასხვა ჟანრის ნახატები შექმნეს.

ამ წალკოტში შემოქმედი ადამიანებისთვის მუდამ ღიაა კარი!

იზა ჯაჭვაძე

უკვდავი პოეტის ნაკვალევზე

პოეტი რომან ზუკაკიშვილი ცხოვრობს და მოღვაწეობს უკვდავი გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელ პატარძეულში. რომანის შემოქმედების მთავარი თემა სამშობლო და მისი სატკივარია. იგი მუდამ ინარჩუნებს ბუნებრიობას, წრფელია და არასოდეს უღალატია ერთხელ არჩეული გზისათვის.

რომანს უკვე რვა პოეტური კრებული აქვს გამოცემული, სულ ახლახანს გამოიცა მისი ახალი ლექსების კრებული „ვარდობის თვიდან ვარდობის თვემდე“, რომლის მთავარი რედაქტორია პოეტი **ემზარ კვიტაიშვილი**, ხოლო რედაქტორი **რუსუდან კენჭოშვილი**.

ახლახანს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მისი ახალი პოეტური კრებულის წარდგინება. რომან ზუკაკიშვილს ახალი წიგნის გამოცემა მიულოცეს მწერლებმა: **ემზარ კვიტაიშვილმა. თემურ ჩალაბაშვილმა, იზა ჯაჭვაძემ, ჯუმბერ გოგრიჭიანმა, ერეკლე საღლიანმა, მთვარისა კერესელიძემ, რუსუდან კენჭოშვილმა, ნინო მარსაგიშვილმა**, ჟურნალ „ქართველების“ რედაქტორმა **ლეილა არჩემაშვილმა**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის და განათლების საკითხების მთავარმა სპეციალისტმა **არჩილ ჯაბადარმა**, რომანის თანასოფლელმა, აღმოსავლეთმცოდნე **გივი ონაშვილმა**, საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარემ **მაია კობახიძემ**, გომბორის საჯარო სკოლის მასწავლებელმა **მარეხ დიდებაშვილმა**.

რომან ზუკაკიშვილის ლექსებით დიდი ხანია დაინტერესდნენ კომპოზიტორები და მრავალი სიმღერა შექმნეს: „ქართველო, დადექ ქართველთან!“, „თოვს“, „სიზმარი“, „ბედი“, „ვედრება“, „ო, რა სიჩუმეა“, „სერენადა“ „ნანინა“, „დედის გული მეძახის“, „მოგძახი დედი!“, „ღამის ოცნება“. კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი. რომანის ტექსტზეა გადაღებული ლანა ხუროშვილის ვიდეოკლიპი: „სალაღობო ორი“...

გარეჯელი პოეტის ლექსებზე მღერიან ცნობილი მომღერლები: **თემურ თათარაშვილი, ტატო გოდერძიშვილი, თემურ წიკლაური,** საქართველოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, ბარიტონი **სულხან გველესიანი, რობერტ ბარძიმაშვილი, ნიკა დოლენჯაშვილი, დუეტი „ჯორჯია“, ანსამბლი „ორერა“**.

რომანი ამჟამად საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია და თავად ფრანგული ენის სპეციალისტი, მშობლიური სკოლის ყოფილი დირექტორი დღენიადაგ ზრუნავს თანარაიონელი პედაგოგების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

იზა სტორელი

სიყვარულის ეპიცენტრი – სამაჩაბლო!

ყველას ვუთანაგრძნობ, ვინც ვერ, ან არ დაესწრო შემოქმედებით საღამოს, სადაც სევდიანი ზეიმი სუფევდა! ეს საღამო მწერალთა სასახლის დარბაზში უშანგი კახნიაშვილისა და ნათელა ნებიერიძის წიგნის „სამაჩაბლო – სატკივარი ჩვენი“-ს პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას უძღვებოდა მწერალი, წმ. გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი მზია ხეთაგური. დარბაზი სავსე იყო სტუმრებით. განსაკუთრებით სამაჩაბლოელების სიმრავლე იგრძნობოდა და ეს არც იყო გასაკვირი, წიგნის ავტორები ხომ დიდი ლიახვის ხეობის, სოფელ კეხვის წარმომადგენლები იყვნენ. საღამო ცნობილი მომღერლის, ენრიკო ჯანელიძის ხალისიანი სიმღერებით დაიწყო. სამაჩაბლოელებისთვის სასიამოვნო აღმოჩენა იყო ის, რომ ბ-ნი ენრიკო დაბადებულა და გაზრდილა ცხინვალში. მომღერალმა სიმღერებით გამოხატა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ბუდემორდვეული თანამემამულეების მიმართ. ავტორებს წიგნის დაბადება მიულოცა ქ-მა მზია ხეთაგურმა და როგორც წიგნის რედაქტორმა, ისაუბრა წიგნის მნიშვნელობაზე და ღირსებაზე. მან, ერთხელ კიდევ, ხაზგასმით მიანიშნა საზოგადოებას დიდი ლიახვის ხეობის განსაკუთრებულ ქართულ მეტყველებაზე; ერთხელ კიდევ შეახსენა დარბაზში მსხდომთ – ივანე მაჩაბლის, გიორგი ბესთაურის, მერაბ ელიოზაშვილის, ვახტანგ კასრაძის, ვანო დაბრუნდაშვილის და სხვათა განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ორ ამაგდარ ადამიანს, მეუღლეებს – უშანგი კახნიაშვილსა და ნათელა ნებიერიძეს იმ სიყვარულისთვის, რომელიც მათ ლექსებით და მოგონებებით გამოხატეს. დროდადრო, თავისი მშვენიერი ლექსებით ეხმიანებოდა ქ-ნი მზია მათ ტკივილს... როგორ შეიძლება სევდას უწოდო ლამაზი, მაგრმ ეს იყო საღამო, სადაც ყოველ მონაწილეს ნამდვილად სტკიოდა საშობლო, რომელსაც ჰქონდა სევდის ფერი, გემო და სურნელი... სამაჩაბლოელების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული სამაჩაბლოსადმი მიძღვნილი ლექსებით და მოგონებებით გამოხატა პოეტმა და ჟურნალისტმა მარინა თექთუმანიძემ; სიტყვით გამოვიდნენ ჟურნალისტები: **ლია მეტრეველი** და **ნინო სალუქვაძე**, რომლებსაც უჭირდათ ტკივილთან გამკლავება; საინტერესო იყო პოეტისა და ჟურნალისტის, გაზეთ „კავკასიის“ მთავარი რედაქტორის, **იზა ჯაჭვაძის** გამოსვლა. მას, როგროც გამოუსწორებელ ოპტიმისტს, სჯერა, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი დაუბრუნდება საქართველოს და ჩვენი ქვეყანა იქნება ერთიანი, ძლიერი და გაბრწყინებული! თბილი სიტყვები და კეთილი სურვილები არ დაიშურეს – მწერალთა კავშირის თავმჯდომარის რეფერენტმა, ჟურნალისტმა **მანანა გორგიშვილმა** და ღვაწლმოსილმა ქალბატონმა **ნანა ჭიჭინაძემ**; ავტორებს წიგნის გამოსვლა მიულოცა უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **მზია ზანგალაძემ**; შესანიშნავი ლექსებითა და სიმღერებით წარსდგა საზოგადოების წინაშე მუსიკოსი და პოეტი **შოთა დარბუაშვილი**; საღამო დაამშვენა ცხინვალის, ივ. მაჩაბლის სახელობის დრამატული თეატრის წამყვანმა მსახიობმა და მუსიკოსმა **დალი დოიჯაშვილმა**, რომელმაც შთამბეჭდავად წაიკითხა ავტორის ლექსი და განსაკუთრებული სიყვარულით მიესალმა და მიეფერა თანამემამულეებს; ტკივილიანი ლექსი წაიკითხა **გარი კალანტაროვმა**; მისასალმებელი სიტყვა და საკუთარი ლექსი წაიკითხა სამაჩაბლოელმა პოეტმა **ნანული ბოლოთაშვილმა**; თავისი არაჩვეულებრივი ლექსით მიეფერა ავტორებს პოეტი და ჟურნალისტი **ლია ჭიღლაძე**; **გიული ჩოხელმა** (მომღერალი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის თანამშრომელი) შეასრულა ყველასათვის საყვარელი სიმღერა ანა კალანდაძის ლექსზე – „ქარი გიმღერის ნანასა“; ბევრისთვის კარგად ნაცნობმა, თავისი ცხოვრების წესითა და შემოქმედებით გამორჩეულმა, ღირსეულმა, მოამაგე ქალბატონმა, მრავალშვილიანმა დედამ, პოეტმა, ფილოლოგმა და თავადაც დევნილმა **ციცინო ბაბუციძემ**, აუდიტორიას სამაჩაბლოსადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსითა და თბილი სიტყვებით მიმართა. ამ გამოსვლაში დიდ გულისტკივილთან ერთად, პატარა იმედი ჩანდა... ჩანდა, რომ მშობლიური კუთხის და თანამემამულეების სიყვარულს და ნახვის სურვილს ვერც წლები, ვერც ვერანაირი ძალადობა და მზაკვრობა ვერ ჩაკლავს და უკეთესი მომავლის, დარღვეული კავშირების აღდგენისა და სამშობლოს გამთლიანების იმედს ეჭიდება; საზოგადოებას მიესალმა და ავტორებს კეთილი სურვილებით მიმართა წეროვანის ივ. მაჩაბლის სახლმუზეუმის დირექტორმა **თამარ გაგნიძემ**; დარბაზში იმყოფებოდნენ: ცხინვალის კოლორიტად წოდებული, თავადაც არაერთი ლამაზი მოგონების ავტორი, **ენრიკო კვალინიძე**; პოეტი და მთარგმნელი, მუსიკოსი **ირინე გოჩაშვილი**; პოეტი და ჟურნალისტი **დარეჯან ზუბაშვილი**; დეიდას და ბიძას წიგნის გამოსვლა მიულოცა ჟურნალისტმა **გელა კაპანაძემ**. ბატონმა გელამ დიდი სიამაყით განაცხადა, რომ ამ შესანიშნავი ადამიანების ოჯახში დავაჟკაცდა და მადლობა გადაუხადა სტუმრებს მისთვის ძვირფასი ადამიანების დაფასებისათვის; ასევე, შთამბეჭდავი იყო ჟურნალ „ხეობის მაცნე“-ს ჟურნალისტის **ნანა კახნიაშვილის** გამოსვლა. მატერიალური სიდუხჭირის მიუხედავად, ნიჭიერმა და ენერგიულმა **ნათელა ნებიერიძემ** მაინც შეძლო ამ წიგნის გამოცემა. ...დარბაზში, ერთდროულად, სიხარულიც იგრძნობოდა და სევდაც. წიგნის თანაავტორი, ბატონი **უშანგი კახნიაშვილი**, ინვალიდის ეტლში იჯდა და უსინათლო თვალებით სიყვარულს აფრქვევდა. ქალბატონმა მზია ხეთაგურმა განსაკუთრებულად აღნიშნა წიგნში შეტანილი, ბატონი უშანგის მიერ ვლადიმერ პუტინისადმი მიწერილი წერილი, სადაც გამოხატულია თხოვნა, მოთხოვნა და პროტესტი. ღონისძიების დასასრულს ჟურნალისტმა **მაყვალა ლიპარტელიანმა** აღნიშნა: ამ საღამომ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ივანე მაჩაბლის ენა – გამორჩეული ქართული ენაა! და რომ საკუთარ სამშობლოში დევნილად წოდებულ ადამიანთა შემოქმედება, მხატვრული ღირებულების გარდა, სხვა, კიდევ უფრო დიდ დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენს. მათ მიერ აღწერილ მოვლენებსა და ტკივილებში ეს კერადაღღვეული და ერთობადაშლილი ადამიანები მომავალი თაობებისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის, ძალიან მწარე წარსულისა და აწმყოს რეალურ სურათს ქმნიან და შესაბამისად ეს წიგნები მომავალში ფასდაუდებელ საგანძურად იქცევიან! ქალბატონი **ნათელა ნებიერიძე** და ბატონი **უშანგი კახნიაშვილი** ამ წიგნით გვაუწყებენ, რომ ადამიანები ბევრჯერ უსინათლო თვალებითაც ხედავენ, ინვალიდის ეტლითაც მოგზაურობენ... და ამაყობენ, რომ ქართველები არიან და მათთვის სამყაროს ეპიცენტრი, სამაჩაბლოა!

მაყვალა ლიპარტელიანი

ახალგაზრდობის ხელგაფი ღიღი ზეიმი გაიმართა

ტიმოთესუბნის ტაძრის 800 წლის იუბილე

ზეიმში უამრავი ადამიანი იღებდა მონაწილეობას, არც საპატიო სტუმრები აკლდა ამ მართლაც საერო და სასულიერო უდიდეს დღესასწაულს. ზეიმმა კიდევ ერთხელ ცხადყო ერისა და ბერის ერთად ყოფნის აუცილებლობა, იგი თვალნათლივ დასტური იყო იმისა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს დედაეკლესია, თუ როგორ მუხლმოდრეკით და სიყვარულით უნდა ვილოცოთ სამშობლოს ბედნიერებისთვის. მართმადიდებლობა და დედა-ეკლესია ადამიანების ზნეობრივი და სულიერი სრულყოფის სათავეებთან დგას. ფაქტია, ადამიანი რწმენის გარეშე არარაობას წარმოადგენს. ამიტომაც არის, რომ საქართველოს პატრიარქი ილია II თავის ქადაგებაში მოგვიწოდებს ეროვნული ტრადიციების, წინაპართა ხსოვნის, ზნეობისა და სულიერების, პატიოსნების, კეთილსინდისიერებისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისკენ.

სწორედ მართლმადიდებლური სულიერების სავანეს წარმოადგენს 800 წლის წინ შალვა თორელ-ერისთავთერისთავის მიერ აშენებული და დღემდე დიდებულად შემორჩენილ-შემონახული ტიმოთესუბნის წმინდა მარიამის სახელობის ტაძარი, სადაც დღესაც აღევლინება წირვა-ლოცვა.

ტიმოთესუბნის ტაძრის 800 წლისთავის აღსანიშნავი დიდებული ზეიმი ორდღიანი გახლდათ. მისი ორგანიზატორები იყვნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტი, გამგეობის კულტურის სამსახური და ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია.

12 აგვისტოს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა ტიმოთესუბნის მონასტრის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია დევიზით: „დედა ეკლესია“, რომელიც გახსნა ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მიტროპოლიტმა სერაფიმემ.

აქვე უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ტიმოთესუბნის 800 წლის იუბილე“, ხოლო კონფერენციის დაწყებამდე, კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო ფოტოგამოფენა – „ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია“. ასევე მოეწყო მხატვარ **ომაზ ჩხეიძის** ნახატებისა და ისტორიკოს **ბაკურ გელაშვილის** ფოტო გამოფენები. ექსპოზიციაში შედიოდა მოსწავლეთა მიერ დამზადებული თექის, ქარგვისა და ჭედურობის ნამუშევრებიც.

როგორც ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **მარინა ხუჯაძემ** აღნიშნა, პროექტის ფარგლებში, **მეუფის კურთხევით**, ბორჯომის სკოლებში ჩატარდა თემატური ნახატების და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

საუკეთესო ხელნაკეთი ნამუშევრების და ნახატების ავტორები დაჯილდოვდნენ სიმბოლური საჩუქრებით.

თეორიულ კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს **არქიმანდრიტმა იერომიელმა (ფილიშვილმა), არქიმანდრიტმა გიორგიმ (გურჩიანმა),** თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის დოქტორანტურის დოქტორმა, მღვდელმა გიორგი ბენდელიანმა, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის დოქტორმა მღვდელმა ლონგინოზ სუარიშვილმა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვახტანგ გურულმა,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის პროფესორმა **ქეთევან პავლიაშვილმა**, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **თამაზ გოგოლაძემ** და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა **ირაკლი გელაშვილმა**, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის დოქტორანტმა **ირაკლი ორჟონიამ**.

აქვე მოეწყო **ბერი თეოდოსის (ჩიტაშვილის)** წიგნის – **„თამარ მეფის ეპარქიის ტაძრების მოხატულობა“, – წარდგინება**.

საღამო დაამშვენა ანსამბლების „ნენანას“, „მზეშინასა“ და „ბორჯომის“ მიერ შესრულებულმა საგალობლებმა.

მეორე დღეს ტიმოთესუბნის მონასტრისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლა. ამ დღესთან დაკავშირებით, **ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ** სადღესასწაულო წირვა აღავლინა, ხოლო საზეიმო პარაკლისი გადაიხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ**.

პარაკლისს მთავრობის წევრებთან ერთად დაესწრო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის წევრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი **აკაკი მაჭუტაძე**, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

დღესასწაულის ფარგლებში ტაძრის ტერიტორიაზე მოეწყო ფოტო-გამოფენა სახელწოდებით - „ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია“. აქვე მოეწყო ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. **დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს მიტროპოლიტმა სერაფიმემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა.**

დღესასწაული დაამშვენა გალა-კონცერტმა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისიდან მოწვეული ცნობილი მომღერლები და ადგილობრივი სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები.

დღესასწაულზე გაიმართა შეჯიბრი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ვალერიან ლომიძე

ბოლო გვერდი

დიმიტრი ყიფიანი - 200

მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს...

„თვალწინ გვიდგა იგი — წარმოსადეგი მოხუცი წამებულის გვირგინითა. მის დიადად მეტყველს და მხნეობით სავსე სახეს ზედ დაჰფენია შარავანდედი ტანჯვით მოკლულისა... მისი სამსახური და ღვაწლი ყველას ანდერძსავით თვალწინ აქვს...

დიახ, ბატონებო, იგი აღარ არის... მოკვდა!.. გარდაიცვალა და არ გარდაიცვლებიან მხოლოდ მისნი სამსახურნი, მისნი ღვაწლნი, მისნი საქმენი...

ამისთანა იშვიათ კაცებზეა ნათქვამი:

„მოკვდა და თავის ანდერძით

აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“.

ამ სიტყვებით გამოეთხოვა დიდი ილია დიმიტრი ყიფიანს. ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ქართველს და თითქმის ას ოცდაათი წლის წინათ ერის მამის დანატირები, როგორც მისი ყველა ნაწინასწარმეტყველები ახდა. ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელს არ ივიწყებს დედასამშობლო, არ დაივიწყებს ქართველი ერი, სანამ ერთი ქრიტიანი ქართველი ივლის დედამიწაზე. აკი თავად დიმიტრი ყიფიანმა ბრძანა — თუ კი ჩემი სამსახური სასარგებლო იქნება, პირველ რიგში იგი სასარგებლო უნდა იყოს ჩემი სამშობლოსთვისო.

სწორედ სამშობლო არ ივიწყებს მას.

2007 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანთა დასში შერაცხა და ეწოდა — წმინდა დიმიტრი სამშობლოსთვის წამებული. დიმიტრი ყიფიანის სახელი აქვს მინიჭებული თბილისის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არის დიმიტრი ყიფიანის სახელობის საერთო დარბაზი, თბილისში სვანეთის უბანში შენდება წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ეკლესია, მთაწმინდის უბანში არის მისი სახელობის ქუჩა, წმინდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა-პოპულარიზაციისათვის დაწესებულია დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი, გახსნილია დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში.

ახლახან საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ პრეზიდენტის ბატონ ბონდო კობაძის ავტორობითა და მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ბატონ ნუგზარ ყიფიანის თანადგომით გამოიცა ფუნდამენტური ათასორასგვერდიანი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი და უნიკალური ფოტომასალით ილუსტრირებული კრებული, „დიმიტრი ყიფიანი — 200“.

პროექტის ავტორმა **ბონდო კობაძემ** და გამოცემის რედაქტორმა ქალბატონმა **ლია ამანათაშვილმა** ათ თვეში დაუღალავი შრომის შემდეგ მკითხველს მართლაც უნიკალური წიგნი მიაწოდა და ამით კიდევ ერთხელ უკვდავყვეს დიდი მამულიშვილისა და წმინდანის სახელი. წიგნი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოიცა. ამ საიუბილეო კრებულში თავიანთი მონაწილეობა დიდი მამულიშვილის ღვაწლისადმი გამოხატეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. წიგნში დიმიტრი ყიფიანის ღვაწლსა და შემოქმედების შესახებ ვრცლადაა წარმოდგენილი როგორც მისი თანამედროვეთა, ისე მისი შემოქმედების შემდგომი პერიოდის მკვლევართა წერილები და მოგონებები. **ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ვალერიან გუნია, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, ალექსანდრე ყაზბეგი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია** და სხვა. მკითხველი გაეცნობა დიმიტრი ყიფიანის მემუარებს, მის შემოქმედებასა და წერილებს, ჩვენ თანამედროვეთა ნაშრომებს.

დიდი მამულიშვილის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით საქველმოქმედო ფონდ „მამულიშვილთა გახსენებას“ მრავალი ღონისძიება მიეძღვნა. დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას პატივი მიაგეს მთაწმინდის პანთეონში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქვითფერმწერული ხელოვნების დამაარსებელმა, ბატონმა **ალეკო ლომაძემ** ქვაში შექმნა დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი, რომელიც ღონისძიების შემდეგ გადაეცემა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს ქვიშხეთში, ხოლო შპს „დუგლაძეების“

ღვინოების კომპანიამ სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის ჩამოასხა თეთრი ღვინო „წინანდალი“ და წითელი „მუკუზანი“, რომელთა ეტიკეტებსაც დიდი მამულიშვილის პორტრეტები ამშვენებს. აღსანიშნავი და სასიხარულო ფაქტია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადება იმის შესახებ, რომ მისი დავალებით დაიწყება დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია ქვიშხეთში.

ყოველივე ეს ზღვაში წვეთია იმ უდიდეს ღვაწლთან შედარებით, რაც დიმიტრი ყიფიანს მიუძღვის თავისი ერის და სამშობლოს წინაშე, ამასვე ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II: „ძნელია მოიძებნოს XIX საუკუნეში ეროვნული საქმე, რომლის წამომწყები, თავკაცი და მონაწილე წმინდა დიმიტრი არ ყოფილიყო, სამართლიანად აღნიშნავდა წმინდა ილია მართალი: „დიმიტრი არის ჩვენი ხუროთმოძღვარი, ჩვენ კი მისი კალატოზებიო“. მთელი მისი ცხოვრება თავდადება და მსახურება იყო თავისი ქვეყნისა და მოყვასისადმი, მის მაგალითზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა“.

მამუკა ვაშაკიძე

ჭეშმარიტი ხიბლი

2014 წლის 2 ნოემბერს — ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებლის და სალოსის ხსენების დღეს, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში **ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია)** სადღესასწაულო წირვა ჩაატარა. ქადაგებისას მან ამბიონზე დაიჩოქა, ნიშნად ბოდიშისა მამა გაბრიელისა და სხვა მოღვაწეების წინაშე (ვისი ღვაწლიც ვერ შევიცანით ჩვენ და ჩვენმა წინაპრებმა და ვაითუ უცოდინრობით და უპატივცემულობით შეურაცხყოფა მივაყენეთ...), დავიჩოქეთ ჩვენც — ტაძარში მყოფმა მრევლმა...

წინამდებარე წიგნი არის ჩემი დაჩოქება, მუხლმოდრეკა და მოწიწება ამ ღმრთივგანბრძნობილი მოღვაწეების წინაშე.



სწორედ ერთ-ერთი მათგანია **მეჯდომარე ანასტასია,** რომელმაც თავისი 64-წლიანი მოსაგრეობით უფლისადმი ურყევი რწმენა და ჭეშმარიტი სიყვარულის ძალა გვიჩვენა!

ნანა გეგია

სამწუხაროდ, ნანა გეგია ახლახანს გარდაიცვალა. იგი უნაზესი, ულამაზესი და უკეთილშობილესი ქალბატონი იყო, უერთგულესი მეუღლე ბატონი ჰამლეტ გეგიასი. მისმა გარდაცვალებამ გულში დიდი ტკივილი დაგვიტოვა ყველას, ვინც ვიცნობდით, ვისაც მჭიდრო კონტაქტი გვქონდა მასთან.

მარადიული ძილით მოსილი განერიდა წუთისოფელს და რა დასანანია, რომ სიკეთით მოსილი იგი, ჩვენს შორის აღარ იქნება. მარადიული ნათელი გეფინოს მარადიულ სამყაროში, ძვირფასო ნანა!

იზა ჯაჭვაძე

ჩვენი სამშობლო



ხევი, გერგეტის სამება

დამფუძნებელი, გამომცემელი
და მთავარი რედაქტორი
იზა ჯაჭვაძე

რედაქტორი
ლაშაგიორგი ბრავეიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დიანა გიგიაძე, ივანე წიკლაური, ჯუმბერ გოგრიჭიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ლევან ცალუღელაშვილი, მარინე თექთუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, გულო კობიაშვილი, გოჩა ხარანაული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი.

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 599-79-76-13

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალებში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

დაკაბადონდა
კობა ბედოიძის
დიზაინცენტრში
www.bedoidze.site.ge